წერილის ნომერი:**31-31263022**
თარიღი: **29/10/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან

დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ადგილი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 26.10.2026 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხათუნა ვადაჭკორია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ თანამშრომლები.

საკრებულოს წევრი დარეჯან ბურჭულაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისთვის და აღნიშნა, რომ ის 2025 წლის 30 ოქტომბრიდან არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ვალდებულია ყოველწლიურად ჩააბაროს ანგარიში ადგილობრივ მოსახლეობას. აღნიშნა, რომ ამჟამად ის არის ფრაქცია „ხალხის ძალას“ თავმჯდომარე, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ და „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის“ წევრი ; აქტიურად არის ჩართული ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოში. როგორც ფრაქციის თავმჯდომარე, რეგულარულად ესწრება ბიუროს, კომისიების და საკრებულოს სხდომებს. ჩატარებული აქვს 11 ფრაქციის სხდომა.

მან ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების შესახებ. როგორც შესაბამისი კომისიის წევრმა აღნიშნა, რომ სამსახურს აქვს 14 სოციალური პროგრამა, რომელიც შეძლებისდაგვარად გათვლილია და მორგებულია მოსახლეობის საჭიროებებს. ისაუბრა „ვარდისფერი ოქტომბერის“ ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე, რაშიც ფრაქცია აქტიურად მონაწილეობს ,სკრინინგის მნიშვნელობასა და დროულ პრევენციაზე.

როგორც „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ წევრმა თქვა, რომ განიხილეს რიგი პრობლემები, მოსახლეობიდან წამოსული ინიციატივები და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები; მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში ქუჩებს და

სკოლებს მიანიჭეს წმინდანების და ეროვნული გმირების სახელები. ასევე აქტიურად მონაწილეობს კომისიის გასვლით სამუშაო პროცესებში.

დარეჯან ბუჭულაძემ ვრცლად ისაუბრა მინიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების მოსაწესრიგებლად დაგეგმილ სამუშაობზე. ყურადღება გაამახვილა სპორტულ ინფრასტრუქტურაზე და აღნიშნა, რომ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, მუნიციპალიტეტში ყველა თემში აქტიურად ხორციელდება ხელოვნურსაფრიანი სტადიონების მოწყობა; ასევე, სულ მალე ლანჩხუთს ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზი, სტადიონი და სპორტული კომპლექსი.

განსაკუთრებულად აღნიშნა ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები: თავისუფლების ქუჩის და რკინიგზის სადგურის სრული რეაბილიტაცია, მოსაცდელებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა;

დარეჯან ბურჭულაძემ ისაუბრა მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების შესახებ და აღნიშნა: ჩოჩხათის თემის სოფლებში, სტიქიის ზონიდან გამომდინაე ამ ეტაპისთვის ვერ ხერხდება გაზიფიცირება, დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულებში „სოკარს“ დაწყებული აქვს მოსახლეობასთან ხელშეკრულებების გაფორმება.

შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხს რეჟიმში წარიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა პირველ რიგში მადლიერება გამოხატეს მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაობის გამო და ისაუბრეს პრობლემურ საკითხებზე.

მოქალაქე გია ჩხაიძემ განაცხადა, რომ მისასასალმებელია რაც გაკეთდა, მაგრამ მოსაწესრიგებელია საფო მგელაძის ქუჩა.

დარეჯან ბურჭულაძემ განმარტა, რომ თავიდან გახდა საჭიროო გამზადებული პროექტების ხარჯთღიცვის გაკეთება, გადაფასება და დასრულების შემდეგ დაიწყება პროექტით გათვალისწინებული ქუჩების რაბილიტაცია, მათ შორის საფო მგელაძისაც.

მწვავედ დაისვა ქალაქში საკანალიზაციო ქსელის გაუმართაობის საკითხი. აღნიშნეს, რომ ყოველი გაწვიმების შემდეგ ქალაქში რამდენიმე ადგილას იჭედება საკნალიზაციო ჭა, განსაკუთრებულად საგანგაშო სიტუაცია და გაუსაძლისი მდგომარეობაა ურუშაძის ქუჩაზე, არსებული ძველი საკანალიზაციო მილი ვერ უძლებს დატვირთვას, პერიოდულად იჭედება და ეზოებში შედის ფეკალიები.

დარეჯან ბურჭულაძემ განმარტა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ყველაფერს აკეთებს პრობლემის აღმოსაფხვრელად. საკრებულოს თავმჯდომარის, ბესიკ ტაბიძის ჩართულობით მოწვეული ჰყავდათ გაერთიანებული წყალმომარეგების რეგიონული სამსახურის მენეჯერი, ისაუბრეს პრობლემასა და მისი გადაჭრის გზებზე. თუმცა, აღნიშნა ისიც, რომ ქალაქში საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგება კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული, რაც ადგილობრივი ბიუჯეტით წარმოუდგენელია და იმედი გამოთქვა, რომ პირველ ეტაპზე თუ მთელი ქალაქის არა, ურუშაძის ქუჩაზე მაინც მოგვარდება პრობლემა.

პატივისცემით,

დარეჯან ბურჭულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ხალხის ძალა“ თავმჯდომარე